ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 527

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ. 404502098) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში, შენობა-ნაგებობა № 1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ. 404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 11 სექტემბრის №22.1459.1595 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის და ამავე ფართში განთავსებული მოძრავი ქონების (ინვენტარის) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ. 404502098) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხი, კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე